



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№18 2015 წლის 30 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებისას სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და აღიარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^მ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებისას სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და აღიარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესი და პირობები შემდეგნაირად:

1. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სანდიგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პირს შეიძლება მიენიჭოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით/წესებით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

2. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სანდიგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი ბაკალავრიატის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ გაიცემა, როგორც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დიპლომი და სტანდარტული დანართი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის/წესების შესაბამისად აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ მიზნით, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნდა განახორციელოს სტუდენტისათვის აუცილებელი სასწავლო დატვირთვისა და სტუდენტთა შეფასების სისტემის გადაყვანა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკრედიტო და შეფასების სისტემაზე.

3. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ჩაითვალოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი